საქნახშირი

კომპანიის პროფილი

მარტი, 2022

სარჩევი

შპს საქნახშირი 2

ახალი მესაკუთრე 4

გენერალური დირექტორი 6

გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია 7

წიაღით სარგებლობის უფლება 7

ლიცენზიის პირობების შემოწმება 8

გარემოსდაცვითი ნებართვები 12

გამამდიდრებელი ფაბრიკა 12

თბოელექტროსადგური 13

პირობების შესრულების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 15

ადამიანისათვის (შრომისათვის) უსაფრთხო გარემო 15

დასკვნა 18

შპს საქნახშირი

ტყიბულში ქვანახშირის საბადო 1825 წელს აღმოაჩინეს. საბადოს ექსპლუატაცია 1847 წლიდან დაიწყო. 1950-იან წლებში, ოთხ შახტაში ქვანახშირის მოპოვებამ წელიწადში 3 მილიონ ტონას გადააჭარბა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ტყიბულში ქვანახშირის მოპოვება შეწყდა. ამჟამად ტყიბულში ორი შახტაა მოქმედი - მინდელის და ძიძიგურის სახელობის. 2006 წლიდან ტყიბულის ქვანახშირის საბადოზე წიაღისეულის მოპოვების უფლებას და ქვანახშირის გამამდიდრებელ ფაბრიკას შპს „საქნახშირი“ (ს/კ230868120) ფლობს.

მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრის თანახმად, შპს “საქნახშირი” 2006 წელს არის რეგისტრირებული და 2019 წლის სექტემბრამდე მისი მფლობელი საქართველოს ოთხი მოწვევის პარლამენტის წევრის დავით ბეჟუაშვილის საკუთრებაში არსებული შპს “ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი”- GIG იყო. საწარმოსთან მჭიდრო და ხანგრძლივვადიანი კავშირი ჰქონდა ამჟამინდელ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს, ნათია თურნავას. ის 2006-2013 წლებში შპს „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დირექტორთა საბჭოს წევრი და შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ გენერალური დირექტორი, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე იყო.

კომპანიის 2019 წლის ფინანსური და მმართველობის ანგარიშის თანახმად, კომპანიას დაფუძნებული აქვს სამი შვილობილი კომპანია: შპს პოლჩარ ჯორჯია, შპს სავაჭრო სახლი საქნახშირი (ჯი აი ჯი ჯგუფი) და შპს სი-ბი-ემ ჯორჯია. არცერთ შვილობილ კომპანიას არ ჰქონდა საოპერაციო საქმიანობა 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანია მდებარეობს ქალაქ ტყიბულში თაბუკაშვილის ქ. #13, აქვე მდებარეობს ნახშირის შახტებიც, სადაც მოიპოვებენ ქვანახშირს. კომპანია წარმოადგენს ერთადერთ ნახშირის მომპოვებელ საწარმოს საქართველოში. ნახშირის მოპოვება ხდება 2 ძირითადი კარიერიდან, ესენია: მინდელის და ძიძიგურის შახტები. ნახშირის მოპოვებასთან ერთად კომპანია ახდენს ნახშირის გადამუშავებას (გამდიდრებას) ნახშირის გამამდიდრებელ ფაბრიკაში და შემგომ რეალიზაციას.

წლების განმავლობაში ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში მეშახტეთა დაშავების (ხშირ შემთხვევაში სასიკვდილო ტრავმების) საგანგაშო სტატისტიკაა. თუმცა, უკანასკნელ დრომდე, ყველა შემთხვევაში, საწარმოს ხელმძღვანელობის განცხადებით, უბედური შემთხვევების მიზეზი თავად დაშავებულთა გაუფრთხილებლობა იყო[1]. მხოლოდ 2018 წლის 16 ივნისს, ტყიბულის შახტში 4 მუშის იმავე შახტში დაღუპვის შემდეგ, სადაც ორი თვით ადრე 6 ადამიანი დაიღუპა და 3 დაშავდა[2], კომპანიამ განაცხადა, რომ ვერ უზრუნველყოფს დასაქმებულთათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს. კომპანიის განცხადებაში აღნიშნული იყო: „ბოლო წლებია კომპანია ყველაფერს აკეთებს უსაფრთხოების სისტემების გასაუმჯობესებლად, სამწუხაროდ, ტყიბულის შახტების სპეციფიკიდან გამომდინარე კომპანია საქნახშირში ვერ მოიძებნა ისეთი საინჟინრო გადაწყვეტა, რომელიც ნახშირის მოპოვებას სრულად უსაფრთხოს გახდიდა. აქედან გამომდინარე, საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი გამოთქვამს მზადყოფნას, უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში გაწეული მნიშვნელოვანი დანახარჯების მიუხედავად

[1] ტყიბული - გამოცხადებული სიკვდილის ქალაქი, ავტორი: ზაზა წულაძე, 9 აპრილი, 2018, ამერიკის ხმა

[2] ტყიბულის შახტაში 6 ადამიანი დაიღუპა, 3 დაშავდა, რეგინფო, 5 აპრილი, 2018

კომპანია საქნახშირი უსასყიდლოდ გადასცეს სახელმწიფოს"[3]. საქართველოს მთავრობა არ დათანხმდა[4] კომპანიის შეთავაზებას, თუმცა, როგორც ჩანს, ამ პერიოდიდან საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფმა საქნახშირის გასასხვისებლად მომზადება დაიწყო. 2018 წლის აგვისტოში GIG-მ გადაწყვიტა საქნახშირის საფირმო სახელწოდების - შპს საქნახშირი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი), შეცვლა. კომპანიის სახელწოდებას ჩამოშორდა „(ჯი-აი-ჯი ჯგუფი)", რაც საწარმოს საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი-GIG-ის ჰოლდინგში გაერთიანებაზე მიანიშნებდა. 2018 წლის სექტემბერში შეიცვალა, ასევე, საწარმოს ელექტრონული ფოსტის მისამართი: არსებული - posta@gig.ge, შეიცვალა info@saqnakhshiri.ge-ით. GIG-ის მოთხოვნითვე, საქნახშირის სამეწარმეო რეესტრში დაფიქსირებულ მონაცემებიდან ამოღებულ იქნა საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის მისამართი, რომელიც მანამდე ამონაწერში იურიდიული მისამართისაგან განსხვავებული მისამართის სახით იყო დაფიქსირებული.

კომპანიის 2018 წლის ფინანსური და მმართველობის ანგარიშში[5] აღნიშნულია, რომ „2019 წლის 27 აპრილს საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა გააფორმა მემორანდუმი Shanxi Coking Coal Group Co LTD[6]-თან, რომელიც წარმოადგენს ჩინეთის უდიდეს ნახშირის მომპოვებელ ორგანიზაციას. მოცემული თანამშრომლობის ფარგლებში იგეგმება, ჩინური მხარის შპს საქნახშირის კაპიტალში მონაწილეობით, მინდელის შახტის განახლება და წარმოების მოცულობის გაზრდა. ასევე, იგეგმება ახალი მაღალტექნოლოგიური შახტის მშენებლობა". თუმცა, როგორც ჩანს, მოგვიანებით გეგმები შეიცვალა.

2019 წლის სექტემბერში ხელფასების მოთხოვნით დაწყებული პროტესტისა და დასაქმებულთა შიმშილობის ფონზე, სიტუაციის დასარეგულირებლად ადგილზე ჩასულმა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ნათია თურნავამ საზოგადოებას ამცნო, რომ საქნახშირს ახალი მფლობელი ეყოლებოდა, რომელიც სახელფასო დავალიანებებსაც დაფარავდა და შახტების უახლოეს მომავალში ამუშავებასაც უზრუნველყოფდა[7]. მინისტრის თქმით, ახალი მფლობელი აფრიკის და შავის ზღვის აუზში ნახშირის გაყიდვის გამოცდილებით ქართველი და უკრაინელი ბიზნესპარტნიორების მიერ დაფუძნებული კომპანია გახდებოდა. იმავე დღეს გაირკვა, რომ სანახშირის ახალი მფლობელი გახდა კომპანია Steel International trading company, რომლის სახელით საზოგადოებას ალექსანდრე ჩოჩია ესაუბრებოდა[8]. როგორც ჩოჩია აცხადებდა, კომპანიას დაგეგმილი ჰქონდა "საქნახშირის" განვითარებისათვის საწყისად 8 მილიონ ლარიანი გეგმის განხორციელება, რომელსაც უახლოეს მომავალში საზოგადოებას და სახელმწიფოს წარუდგენენ. მისივე განცხადებით, სახელმწიფოსთან მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ქვანახშირზე მომუშავე 150მგვ-იანი თბოელექტროსადგურის მშენებლობის ვადებთან დაკავშირებით[9].

---

[3] მზად ვართ საქნახშირი სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადავცეთ - საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი, on.ge, 16 ივლისი, 2018

[4] ხელისუფლების პასუხი საქნახშირს: შახტის მართვა სახელმწიფოს საქმე ნამდვილად არ არის, on.ge, 26 ივლისი, 2018

[5] შპს საქნახშირი, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

[6] ჩინეთის ერთ-ერთი უმსხვილესი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანია.

[7] "საქნახშირი მუშაობას ნოემბრიდან განაახლებს, ხელფასებს ახალი მფლობელი დაფარავს", bpi.ge, 26.09.2019

[8] ვინ გახდა "საქნახშირის" ახალი მფლობელი - ინტერვიუ Steel International Trading Company-ს მენეჯერთან, bm.ge/, 27 სექტემბერი, 2019

[9] ინვესტორი „საქნახშირს" ერთ კვირაში გადაიბარებს, bm.ge, 28 სექტემბერი 2019

მოგვიანებით, ჯი-აი-ჯი ჯგუფმა გააკეთა განცხადება, რომლის თანახმად „„საქნახშირი“ ჯი-აი-ჯი ჯგუფმა, ტყიბულში 13 წლიანი ოპერირების შემდეგ, მიიღო გადაწყვეტილება, რომ საკუთარი აქტივები სიმბოლურ ფასად გადაეცა კომპანია „Steell International trades company“-ისთვის, რომელიც **ეკონომიკის სამინისტროს მიერ იყო რეკომენდებული**“[10].

ახალი მესაკუთრე

მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრის თანახმად, 2019 წლის 27 სექტემბრიდან შპს “საქნახშირის” მფლობელი 2018 წლის 20 თებერვალს რეგისტრირებული შპს “სტიილ ინტერნეიშენელ ტრეიდინგ კომპანია“ (ს/კ 405254692). შპს “სტიილ ინტერნეიშენელ ტრეიდინგ კომპანიის“ 100% წილის მფლობელი და ამავდროულად დირექტორი გიორგი ჭელიძეა.

საქნახშირის გარდა, გიორგი ჭელიძე არის შპს „მეამას“ (405139425) მეწილე, შპს სი ეფ პის (405301613) მეწილე და დირექტორი, შპს სითი გარდენის (405261988) მფლობელი და დირექტორი, შპს „კინგ დევიდ ოფისების“ (405219918) მფლობელი და დირექტორი, შპს მობილ კრედიტის (404390547) მეწილე, შპს ჭელიძე და პარტნიორების (204537803) მეწილე, შპს გეო კოს (405334918) დირექტორი, შპს ნოვუს ინვესთმენთ გრუპის (405330556) მფლობელი და დირექტორი, შპს კავკასუს ონლაინი თიზ[11] (415080637) დირექტორი, შპს ჯი ენ ერ მენეჯმენტის (405356305) მეწილე და **შპს ჯითიეს - ჯორჯია ტერმინალ სერვისის** (405359222) დირექტორი.

შპს ჯითიეს - ჯორჯია ტერმინალ სერვისის (405359222) 100% წილის მფლობელი შპს **ჯორჯიან მანგანეზია** (230085797). ასევე, 2019 წლის აპრილიდან ჯორჯიან მანგანეზის დროებითი გარემოსდაცვითი მმართველის, ნიკოლოზ ჩიქოვანის გადაწყვეტილებითა და გიორგი ჭელიძის თანხმობით, შპს **ჯორჯიან მანგანეზის** იურიდული მისამართი გიორგი ჭელიძის საკუთრებაში არსებულ „კინგ დევიდ ოფისების“ შენობაშია.

შპს “სტიილ ინტერნეიშენელ ტრეიდინგ კომპანიის“ სარეგისტრაციო დოკუმენტებში საერთოდ არ ჩანს ალექსანდრე ჩოჩია, რომელიც კომპანიის გამოჩენიდან ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც საჯაროდ საუბრობდა კომპანიის სახელით. ალექსანდრე ჩოჩია არაერთი კომპანიის სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში ფიგურირებს, რომელთაგან რამდენიმეა საგულისხმო საქნახშირთან მიმართებაში.

ალექსანდრე ჩოჩია იყო 2019 წლის 4 ოქტომბერს დარეგისტრირებული შპს ჯი ენ ერ მენეჯმენტის (405356305) დირექტორი და 50% წილის მეწილე. ამავე კომპანიის 50% გიორგი ჭელიძე ფლობდა. 2021 წლის იანვარში კომპანიის სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში შესული ცვლილებების თანახმად, კომპანიის 100% წილის მფლობელი და დირექტორი გახდა გრიგოლ კაცია - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ყოფილი მოადგილე და ამჟამად „ბანკი ქართუს“ [გენერალური დირექტორის მოადგილე.](#) 2022 წლის მარტიდან კომპანიის 100 წილის მფლობელი და დირექტორი ბაქარ დევდარიანია - 2018 წლამდე საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სსიპ-შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის უფროსი. შპს ჯი ენ ერ მენეჯმენტის [2020 წლის](#)

[10] [საქნახშირის განცხადება, 11.10.2019](#)

[11] მფლობელი 211380833, შპს "კავკასუს ონლაინი"

ფინანსური ანგარიშის თანახმად, კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საკონსულტაციო საქმიანობა[12].

2015 წელს სს პრივატბანკის სს საქართველოს ბანკთან შერწყმამდე ალექსანდრე ჩოჩია 2007-2014 წლებში უკრაინულ „პრივატ ჯგუფის" საკუთრებაში არსებული პრივატბანკის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე და 1.3% წილის მფლობელი (2012წ მდგომარეობით)[13] იყო. როგორც ცნობილია, უკრაინული „პრივატ ჯგუფის" დამფუძნებლები იგორ კოლომოისკი და გენადი ბოგოლუბოვი 2007 წლიდან „ჯორჯიან მანგანეზის" (230085797) მფლობელი GEORGIAN AMERICAN ALLOYS INC[14]-ის მესაკუთრეები იყვნენ.

2020 წლის 9 ივნისს შპს ჯორჯიან მანგანეზი - წარმოდგენილი სპეციალური მმართველით, ნიკოლოზ ჩიქოვანით და შპს სტიილ ინტერნეიშენელ ტრეიდინგ კომპანი - წარმოდგენილი გიორგი ჭელიძით შეთანხმდნენ „დაფუძნდეს კომპანია შემდეგი დასახელებით: ქართულად: შპს „ჯი ემ ენერჯი", ინგლისური დასახელებით: "GM ENERGY" LLC.. შპს „ჯი ემ ენერჯი"-ს წილის მესაკუთრეებად განისაზღვრონ:
- შპს „ჯორჯიან მანგანეზი" (ს/კ 230085797) – 49% წილის მესაკუთრე;
- შპს „სტიილ ინტერნეიშენელ ტრეიდინგ კომპანი" (ს/კ 405254692) - 51% წილის მესაკუთრე"[15].

კომპანიის დირექტორად დაინიშნა გიორგი ქარჩავა.

კომპანიამ 2020 წლის 29 ოქტომბერს დააფუძნა შპს სტილ ოილი, რომელშიც 100%-იან წილს ფლობს.

2019 წლის 29 ნოემბერს შპს "სტიილ ინტერნეიშენელ ტრეიდინგ კომპანიის" სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერში გაჩნდა ჩანაწერი წილზე გირავნობის უფლების რეგისტრაციასთან დაკავშირებით. შპს-ს მფლობელს გიორგი ჭელიძესა და სს საქართველოს ბანკს შორის გაფორმდა ხელშეკრულება გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ მაქსიმუმ 2 600 000 აშშ დოლარის ოდენობის თანხაზე. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად დაგირავდა შპს "სტიილ ინტერნეიშენელ ტრეიდინგ კომპანიის" 100% წილი.

შპს "სტიილ ინტერნეიშენელ ტრეიდინგ კომპანიის" 2019 წლის ფინანსური ანგარიშის თანახმად, 2021 წლის 19 იანვარს ჯგუფმა მიიღო სესხი 11,580,538 დოლარის ოდენობით AKRO INVESTMENTS LIMITED-ისაგან. სესხის მიზნობრიობაა საინვესტიციო საქმიანობის განხორციელება. ამავდროულად ჯგუფმა კორპორაციაზე რელინგტონი გასცა სესხი 4,941,222 ლარის ოდენობით, შპს დიჯი კაპიტალზე 1,798,720 ლარის ოდენობით და შპს ბლოქფაუერზე - 1,684,900 ლარის ოდენობით. ამავე ანგარიშის თანახმად, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შედეგად დაჯარიმების შესახებ 2020 წლის 10 მარტს ჯგუფი დაჯარიმდა შპს "ჭიათურ მანგანუმ ჯორჯიასთან" გაფორმებული ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო 500,000 აშშ დოლარით, რადგან შპს სტიილ ინტერნეიშენელ ტრეიდინგ კომპანიმ დაარღვია

---

[12] „2015 წელს ასეულმილიონიანი ჯარიმა „მანგანეზს" შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტმა დააკისრა, დეპარტამენტს მაშინ ბაქარ დევდარიანი ხელმძღვანელობდა. დევდარიანი დღეს „მანგანეზისთვის" მუშაობს, კომპანიას საგადასახადო კონსულტაციას უწევს. "მანგანეზში" ნიკოლოზ ჩიქოვანის დანიშვნიდან მალევე დევდარიანმა საგადასახადო დატოვა და „მანგანეზისთვის" დაიწყო მუშაობა. „მანგანეზთან" თანამშრომლობას დევდარიანიც ადასტურებს". "ჯორჯიან მანგანეზი" ალყაში - ხელისუფლება გარემოსა და ხალხის წინააღმდეგ, რადიო თავისუფლება, თებერვალი 13, 2021, გიორგი მგელაძე

[13] ვინ არიან საქართველოში ბანკების მფლობელები, b2p.ge

[14] GEORGIAN AMERICAN ALLOYS INC. Last dossier update: Jan. 13, 2020 ©Anti-corruption Action Centre, 2015-2019

[15] შპს ,,ჯი ემ ენერჯის" (ს/კ 405390465) დამფუძნებელთა კრების ოქმი

ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნები, "ჭიათურ მანგანუმ ჯორჯიასგან" პროდუქციის შესყიდვასთან დაკავშირებით.

გიორგი ჭელიძე პარტია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს აქტიური მხარდამჭერია. 2017-2020 წლებში თვითმმართველობის, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების წინ, სამივეჯერ 60 000 ლარი აქვს შეწირული[16]. ალექსანდრე ჩოჩიამაც 60 000 ლარი 2018 წელს სალომე ზურაბიშვილს, ხოლო 2019 წელს იგივე ოდენობის თანხა პარტია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს შეწირა[17].პარტია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს გულშემატკივარია გიორგი ქარჩავაც - მან პარტია 60000 ლარი 2017 წელს შესწირა, ხოლო 2018 წელს 25000 ლარი.

გენერალური დირექტორი

საქნახშირის მესაკუთრის გამოცვლის შემდეგ საწარმოში პირველი ცვლილება შეეხო გენერალური დირექტორის ცვლილებას. 2019 წლის 3 ოქტომბერს გენერალური დირექტორის თანამდებობა დაიკავა გიორგი ჩხეიძემ, რომელიც საქნახშირის შვილობილი შპს სი-ბი-ემ ჯორჯიას დირექტორია. 2019 წლის 7 ნოემბერს რეგისტრირებული ცვლილების თანახმად, გიორგი ჩხეიძე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და მის ნაცვლად საწარმოს გენერალურ დირექტორად შპს კოალ ოფ ჯორჯია (400264361) დაინიშნა; ასევე, დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა საქნახშირის ფინანსური დირექტორი, მიხეილ ტურაბელიძე.

შპს კოალ ოფ ჯორჯიაა (400264361) 2019 წლის მარტში უკრაინაში 2017 წელს რეგისტრირებულმა შპს სამეცნიერო საწარმოო კომპანია უკრსპეცტექნიკამ (21783176, დირექტორი ვიაჩესლავ ბოგოსლავსკი) დააფუძნა. კოალ ოფ ჯორჯიას დირექტორი რეგისტრაციის დღიდან ზურაბ აღდგომელაშვილია. 2019 წლის ოქტომბერში შპს-ს სარეგისტრაციო დოკუმენტებში შესული ცვლილების თანახმად, კოალ ოფ ჯორჯიაას 50% წილი უსასყიდლოდ გადაეცა შპს "დათვს". თავად შპს „დათვი" (400275368) ერთი დღით ადრე დარეგისტრირდა სამეწარმეო რეესტრში და მის 10% წილს ფლობს ზურაბ აღდგომელაშვილი, ხოლო 90% რუსეთის ფედერაციის მოქალაქე მიხაილ სოცკი.

2020 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილებით, შპს „კოალ ოფ ჯორჯია" (400264361) ჩაანაცვლა ორი კვირით ადრე, 2020 წლის 14 აგვისტოს რეგისტრირებულმა კომპანიამ - შპს „კოალ ჯეორჯიამ" (400292535). საგულისხმოა, რომ შპს „კოალ ჯეორჯიას" დირექტორი კვლავ ზურაბ აღდგომელაშვილია, ხოლო მესაკუთრე UNITED EUROPEAN ENERGY CORPORATION (5223179820).

თავად UNITED EUROPEAN ENERGY CORPORATION, მართალია პოლონეთშია რეგისტრირებული, მაგრამ მისი მესაკუთრეები არიან რუსეთის მოქალაქე ლარისა სოპპა (90%) და საქართველოს მოქალაქე ეთერ აღდგომელაშვილი (10%). დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე კვლავ მიხაილ სოცკია.

UNITED EUROPEAN ENERGY CORPORATION, ასევე, არის ტრანს ლოგისტიკის (405314468) და შპს აქუა ჯეორჯიას (405443033) 100% წილის მფლობელი.

[16] საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების შემოწირულობები, გამჭირვალობა საქართველო

[17] საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების შემოწირულობები, გამჭირვალობა საქართველო

გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია

ტყიბული გარემოსდაცვითი მდგომარეობის თვალსაზრისით ქვეყნის ერთ-ერთი საგანგაშო ცხელი წერტილია[18]. საქნახშირს გააჩნია სამი ძირითადი ობიექტი: შახტა, გამამდიდრებელი საწარმო და თბოელექტროსადგური - სამივე ობიექტს აქვს მწვავე გარემოსდაცვითი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტისათვის წლებია არაფერი გაკეთებულა.

წიაღით სარგებლობის უფლება

საქნახშირი ერთადერთი ნახშირის მომპოვებელი საწარმოა საქართველოში. ნახშირის მოპოვებასთან ერთად კომპანია ახდენს ნახშირის გადამუშავებას (გამდიდრებას) ნახშირის გამამდიდრებელ ფაბრიკაში და შემგომ რეალიზაციას. ამჟამად კომპანია ფლობს შემდეგ ლიცენზიებს:

ლიცენზიის აღების თარიღი	ლიცენზიის No.	მოსაპოვებელი ტერიტორია	მოსაპოვებელი რაოდენობა ლიცენზიის მიხედვით	ლიცენზიის ვადა
14.08.2006	10000237	ტყიბულ-შაორის ქვანახშირის საბადო - 8 ჰა	მინიმუმ 110 000 ტ/წ 2010-2011 წლებში, შემდეგ წლებში ულიმიტო	30 წელი
25.12.2007	10000236	ტყიბულის და ამბროლაურის რაიონი - ლიცენზიის ფართობი 5 479,9 ჰექტარი	233 298 000 ტ	45 წელი
26.07.2016	1003794	„ტყიბულის“ ფერადი წყების ქვიშაქვის (იმერეთის დროებითი კარიერის უბანი) მოპოვება - ქ. ტყიბულის ტერიტორიაზე ლიცენზიის ფართობი 5.02 ჰექტარი	602400 $მ^3$	20 წელი

კომპანია ახდენს 2 ტიპის ნახშირის რეალიზაციას: რიგითი და გამდიდრებული. 2017 წელს კომპანიამ ჯამურად მოახდინა 224 946 ტონა, ხოლო 2018 წელს 115 060 ტონა ნახშირის რეალიზაცია[19].

შპს “სტიილ ინტერნეიშენელ ტრეიდინგ კომპანის“ 2019 წლის ფინანსური ანგარიშის თანახმად, „2018 წლის ივნისში შპს „საქნახშირმა“ შეაჩერა ნახშირის მოპოვება რამდენიმე ფატალური ინციდენტის გამო. თუმცა, 2019 წლის სექტემბერში კომპანიაში 100%-იან მესაკუთრედ შპს "სტილ ინტერნეშენალ ტრეიდინგ კომპანი"-ის შემოსვლის შემდეგ, კომპანიამ აღადგინა ქვანახშირის წარმოება ტექნიკური უსაფრთხოების წესების სრული დაცვით. დღეისთვის სტილი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ ტრეიდინგულ კომპანიას საქართველოში. კომპანია გეგმავს თავისი სავაჭრო პროდუქციის პორტფელის გაფართოებას და შემოსავლების ზრდას. სტილი გეგმავს ქვანახშირის წარმოების გაზრდას 2021 წლის ივნისში, კერძოდ, რიგითი ნახშირის მოპოვებას 30 ათას ტონამდე. გასაღების ბაზარი იქნება ძირითადად ორი საქართველოს საწარმო: ჯიემი და ჰაიდელბერგი. ასევე სხვა მცირე საწარმოები. სტილი იმედოვნებს, რომ ამის შედეგად მოხდება ხარჯების გადაფარვა საქნახშირში. 2019 და 2020 წლებში საქნახშირი დოტაციური იყო. ასევე სტილი ინტენსიურად მუშაობს ინვესტორის მოძიებაზე ქვანახშირზე მომუშავე თბოელექტროსადგურის მშენებლობისთვის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია საქნახშირის მომავლისთვის“.

[18] საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა“ რეალური სივრცე“ – „ტყიბული ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე“

[19] შპს საქნახშირი, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის[20] თანახმად, ქვანახშირის მოპოვება მიმდინარეობს ორ შახტაზე: მინდელისა და ძიძიგურის სახ. შახტებზე. ძიძიგურის სახ. შახტაზე ქვანახშირის მარაგები თითქმის ამოწურულია და ის რიგით უბნად არის შესული მინდელის სახ. შახტის შემადგელობაში. მინდელის სახ. შახტის ფართობია 43 018 $მ^2$. ძიძიგურის სახ. შახტის ფართობია 36 192$მ^2$. 01.01.2020 წლისათვის მინდელის სახ. შახტის ქვანახშირის მარაგი შეადგენდა 45,2 მლნ. ტონას, ხოლო ძიძიგურის სახ. შახტის ქვანახშირის მარაგი შეადგენდა 0,94 მლნ.

ლიცენზიის პირობების შემოწმება

მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წელს მოხდა საქნახშირის საკუთრებაში არსებული №01018 ლიცენზიის პირობების შემოწმება. ამ ფაქტისა და შემოწმების შედეგების შესახებ ინფორმაცია დაინტერესებულმა პირმა მხოლოდ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საფუძველზე შეიძლება შეიტყოს.

წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 2018 წლის 26 ივნისიდან 1 ივლისის ჩათვლით ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტომ შპს „საქნახშირის“ სალიცენზიო ფართობში ნარდობის ხელშეკრულების მქონე დამოუკიდებელი სუბიექტების საქმიანობა შეისწავლა. „შესწავლისას სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ წინასწარ განისაზღვრა „ნახშირის შახტების უსაფრთხოების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მინიმალური მოთხოვნები, რომელთა შემოწმებისას გამოვლინდა, რომ ამ მოთხოვნათა უმრავლესობა დარღვეულია, მათ შორის გამოვლინდა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი შემდეგი დარღვევები:

1. ზემოაღნიშნულ მეწარმე სუბიექტებზე ნარდობით გადაცემულ ობიექტებზე მომუშავე პერსონალი არ არის აღჭურვილი მავნე/ფეთქებადსაშიში აირების შემცველობის საკონტროლო ავტომატური ხელსაწყოებით, სპეცტანსაცმელით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებით - თვითმაშველებით. გვირაბებში არ წარმოებს მეთანისა და ნახშირჟანგის შემცველობის გაზომვა.
2. ობიექტებზე შესაძლო ავარიების თავიდან აცილებისა და სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით სამეწარმეო სუბიექტებს არ აქვთ გაფორმებული ხელშეკრულება აღნიშნულ სამუშაოებზე სპეციალიზებულ სამთო-სამაშველო სამსახურთან.
3. სამთო სამუშაოების უსაფრთხო წარმოებაზე არ არის განსაზღვრული ტექნიკური ხელმძღვანელი პირი, რომელსაც უნდა გააჩნდეს შესაბამისი განათლება.
4. მიწისქვეშა გამონამუშევრებში და მიწის ზედაპირზე მყოფ პერსონალს შორის არ არის უზრუნველყოფილი სატელეფონო კავშირი.
5. რამდენიმე ობიექტის გარდა მიწისქვეშა გამონამუშევრებში არ არის დამონტაჟებული ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ამოღვრისათვის განკუთვნილი წყალამოსაღვრელი სისტემა.
6. მიწისქვეშა გვირაბებს არ გააჩნიათ და არც არის განსაზღვრული მათ პროექტებში, მიწის ზედაპირზე ამოსასვლელი ერთზე მეტი დამოუკიდებელი გასასვლელი და ძირითად გამონამუშევრებში არ არის დამონტაჟებული მავნე/ფეთქებადსაშიში აირების კონცენტრაციის

[20] გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეითანხმა N 5540/01 წერილით, 17/06/2020

კონტროლის ელექტრონული სისტემა. არ წარმოებს გვირაბებში ჩამსვლელთა (ამომსვლელთა) აღრიცხვა.

7. არ ხდება გამოუყენებელი გვირაბების იზოლირება ზღუდარებით, რომელითაც უნდა გამოირიცხოს მავნე/ფეთქებადსაშიში აირების მოხვედრის შესაძლებლობა მოქმედ გვირაბებში.
8. ჩიხური გვირაბებისთვის განკუთვნილ ადგილობრივი განიავების ვენტილატორების უმეტესობა არის არაქარხნული შესრულების და არცერთს არ გააჩნია ტექნიკური დოკუმენტაცია. ვენტილატორებთან არ არის დადგმული დაფა, რომელზეც უნდა აისახოს გვირაბის განიავების ძირითადი პარამეტრები, შესაბამისად გვირაბების განიავება ხორციელდება არასტანდარტული მეთოდით.
9. გვირაბებში ელ. გაყვანილობის გადაბმა ხდება აფეთქებაუსაფრთხო მოწყობილობის გარეშე და შესაბამისად გაუმართავია.
10. მიწის ზედაპირზე კუსტარულად დამონტაჟებულ ჯალამბრებს მუშა მუხრუჭთან ერთად არ აქვთ დამცავი მუხრუჭი.
11. ელექტრო მოწყობილობებს არ გააჩნიათ ტექნიკური დოკუმენტაცია და არ აქვთ ადგილობრივი ჩამიწება.
12. მიუხედავად იმისა რომ საექსპლუატაციო სამუშაოების პროექტი არასრულყოფილია, მიწისქვეშა გვირაბების გაყვანა-გამაგრება არ შეესაბამება მასში მოცემულ გვირაბის გაყვანასთან განსაზღვრულ პარამეტრებს, კერძოდ: შემცირებულია გვირაბის კვეთი, დარღვეულია გვირაბის სამაგრებს შორის მანძილები, გვირაბის შესასვლელი არ არის გამაგრებული მესრული სამაგრით, გვირაბის გამაგრებისთვის გამოყენებულია არასტანდარტული მასალები და სხვა.

სააგენტოს მიერ დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე და ზემოაღნიშნული შეუსაბამობების გათვალისწინებით შპს „საქნახშირი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)“-ს მიეცა შემდეგი სახის დასკვნა და რეკომენდაცია:

„სააგენტოს მიერ ობიექტების დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნული სუბიექტები ნახშირის მოპოვებას ახორციელებენ კუსტარული არატრადიციული ხერხით. მოპოვებითი პროცესი მიმდინარეობს მინიმალური მექანიზაციის პირობებში და დარღვეულია ნახშირის შახტების უსაფრთხოების წესების მოთხოვნების უმეტესი ნაწილი, რაც რეალურ საფრთხეს უქმნის ადგილზე მომუშავეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

აღსანიშნავია, რომ შპს „საქნახშირი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)“-ს მიერ მეწარმეებთან დადებული ხელშეკრულების 2.3. პუნქტის მიხედვით ყველა მეწარმე სუბიექტი ვალდებული იყო „ნახშირის შახტების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“-ით გათვალისწინებული ისეთი მოთხოვნების დარღვევისას, რომლებიც საფრთხეს უქმნის მომუშავეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, დაუყოვნებლივ შეეჩერებინა საექსპლუატაციო სამუშაოები, ასევე ამავე ხელშეკრულების 3.3.3. პუნქტის მიხედვით ზემოაღნიშნული დარღვევების არსებობის შემთხვევაში შპს „საქნახშირი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)“-ს ჰქონდა უფლებამოსილება შეეჩერებინა სამუშაოების წარმოება და დაუყონებლივ შეეწყვიტა ან შეეჩერებინა ხელშეკრულების მოქმედება, რაც არ განხორციელდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ დაფიქსირებული დარღვევების პირობებში შპს „საქნახშირი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)“-ს მიერ შეწყდეს სანარდო ხელშეკრულება მათ სალიცენზიო ტერიტორიაზე მოქმედ სუბიექტებთან და გვირაბებში ადამიანების შესაძლო შესვლის/ჩავარდნის,

ენდოგენური ხანძრების წარმოშობის და სხვა საფრთხის შემცველი ფაქტორების თავიდან აცილების მიზნით ობიექტების ლიკვიდაცია და კონსერვაცია განხორციელდეს „ნახშირის შახტების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“-ს მე-14 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად“[21].

2018 წლის 27-30 ივნისს „საქნახშირის“ სალიცენზიო ფართობში ნარდობის ხელშეკრულების მქონე დამოუკიდებელი სუბიექტების საქმიანობა წიაღის ეროვნულმა სააგენტომაც შეისწავლა. შესწავლამდე კომპანიის იერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა რომ წიაღის მოპოვებას ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე 23 პირი ახორციელებდა. ამასთან კომპანიამ ვერ წარადგინა აღნიშნულ უბნებზე წიაღით სარგებლობის საპროექტო დოკუმენტაცია.

ყოველივე აღნიშნული საფუძველზე, შპს "საქნახშირის" მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი ლიცენზიით განსაზღვრული პირობების, კერძოდ: საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #450 დადგენილების მე-9 მუხლით განსაზღვრული ექსპლუატაციის წესების და ნორმების და "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის 42-ე და 47-ე მუხლებით განსაზღვრული წიაღით სარგებლობის უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის გამო. სამართალდარღვევის ოქმი და მასალები განიხილა ტყიბულის მაგისტრატმა სასამართლომ და 2018 წლის 28 სექტემბრის #4/80-18 დადგენილებით, შპს "საქნახშირი" სცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57^3-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში და დააკისრა **2000 ლარის ოდენობით ჯარიმის** გადახდა.

წიაღის ეროვნულმა სააგენტომ შპს საქნახშირს აუკრძალა მოპოვებითი სამუშაოების წარმოება #10000236 (01018) ლიცენზიის სამთო მინაკუთვნში არსებულ გარე შახტებზე, სადაც სამუშაოები ხორციელდებოდა ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე საძიებო-საექსპლუატაციო სამუშაოების მწარმოებელი დამოუკიდებელი მენარდე სუბიექტების მიერ, სანამ არ იქნება დაცული ექსპლუატაციის წესები და ნორმები და უსაფრთხოების მოთხოვნები[22].

2019 წლის 17-21 დეკემბერს წიაღის ეროვნული სააგენტომ გეგმიურად შეამოწმა შპს ,,საქნახშირზე" გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №10000236 და № 10000237 ლიცენზიებით განსაზღვრული პირობების შესრულების მდგომარეობა და დაადგინა, რომ შპს ,,საქნახშირს" მიერ არ არის გადახდილი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი, რაც წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57^3 მუხლის მეორე ნაწილის დარღვევას.

2021 წლის ოქტომბერში შპს „საქნახშირმა“ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს ლიცენზიის ფარგლებში წიაღის ათვისების გეგმის ცვლილება მოსთხოვა. ცვლილების მიზეზს კომპანიის გენერალური დირექტორი შემდეგნაირად ხსნიდა: „გამომდინარე იქედან, რომ ჩვენი ობიექტები გაჩერებული იყო წელიწადნახევრის განმავლობაში და მოპოვებითი სამუშაოები არ მიმდინარეობდა, ყველა არსებული საკონტაქტო ურთიერთობა შემსყიდვლებთან შეწყდა და შემსყიდვლები ტექნოლოგიურად გადაიარაღდნენ რუსულ ნახშირზე. არსებული და პერსპექტიული კლიენტების უკან დაბრუნება მოითხოვს

[21] სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2018 წლის 19 ივლისის №07/1247 წერილი

[22] სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2019 წლის 4 თებერვლის # 22/495 წერილი შპს საქნახშირის გენერალურ დირექტორს

არამარტო მყიდველის პოზიტიურ გადაწყვეტილებას, არამედ გარკვეულ ტექნოლოგიურ ცვლილებებსაც, რასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება. აქვე უნდა აღნიშნოს რომ რუსული ნედლეული ქიმიური შემადგენლობით (კალორიულობა, გოგირდის შემცველობა) მნიშვნელოვნად აღემატება ჩვენს ნედლეულს, არც ართულებს პერსპექტიული კლიენტების მოძიებას. რაც შეეხება ევროპის და თურქეთის ბაზრებს, გოგირდის მაღალი შემცველობის გამო, ხსენებულ ქვეყნებში ნახშირის ექსპორტი პრაქტიკულად შეუძლებელია. ახალი ინვესტორის შემოსვლის შემდგომ 2019 წლიდან ნელ-ნელა დავიწყეთ დაკარგული კლიენტების დაბრუნება, ასევე პარალელურად დაგეგმილი გვაქვს საკუთარი თბოელექტროსადგურების მშენებლობა, რომელიც იქნება ჩვენი საბადოს ძირითადი მომხმარებელი, თუმცა ხსენებული პროექტის განსახორციელებლად აუცილებელ პერიოდს შეადგენს 5 წელი“[23].

ცხრილი. 1 შესათანხმებლად წარდგენილი კორექტირებული წიაღის ათვისების გეგმა.

წელი	მლნ/ტონა	რესურსის სახეობა
2011 (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი)	0.02	ქვანახშირი
2012	0.45	
2013	0.6	
2014	0.7	
2015	0.8	
2016	0.9	
2017	1	
2018	1.2	
2019	1.4	
2020	1.5	
2021	0.07	
2022	0.07	
2023	0.07	
2024	0.07	
2025	0.07	
2026	7.9	
2027	7.9	
2028	7.9	
2029	7.9	
2030	8.1	
2031	8.1	
2032	8.1	
2033	8.1	
2034	8.1	
2035	8.1	
2036	8.2	

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ინფორმაციით: „2019-2020 წლებში სააგენტომ ტყიბულის შახტში განახორციელა ექვსი ტექნიკური ინსპექტირება, რომელთა დროსაც, საერთო ჯამში, დაფიქსირდა 49 შეუსაბამობა (მათ შორის 2 არაარსებითი, 46 არსებითი და 1 კრიტიკული ხარისხის შეუსაბამობა) და ობიექტი დაჯარიმდა 13 000 ლარით. აღნიშნული დარღვევების ნაწილი, დღეის მდგომარეობით, გამოსწორებულია დადგენილ ვადებში. დარჩენილი დარღვევების გამოსწორებისათვის, სააგენტოს მიერ განსაზღვრულია შესაბამისი ვადა, რა ვადაშიც შპს „საქნახშირი“ ვალდებულია

[23] შპს „საქნახშირის“ გენერალური დირექტორის - შპს „კოალ ჯეორჯიას“ დირექტორის, ზურაბ აღდგომელაშვილის 2021 წლის 26 ოქტომბრის №3ო/242 წერილი წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსს, ოთარ დანელიას.

უზრუნველყოს მათი გამოსწორება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სააგენტოს მიერ კვლავ გატარდება კანონით განსაზღვრული ზომები“[24]. 2020-2021 წლების განმავლობაში საწარმო წარადგენდა ინფორმაციას შეუსაბამობების აღმოფხვრის თაობაზე. 2021 წლის დეკემბერში მწვანე ალტერნატივამ მოითხოვა ტყიბულის შახტში სააგენტოს მიერ 2020 წლის დეკემბრის შემდეგ ჩატარებული ინსპექტირების ამსახველი დოკუმენტაციის ასლი, რაც არ გადმოგვცემია - უნდა ვივარაუდოთ, რომ ინსპექტირება ამ პერიოდში არ განხორციელებულა.

გარემოსდაცვითი ნებართვები

სხვადასხვა დროს საქნახშირის საკუთრებაში არსებულ საწარმოებზე გაცემულია დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნები:

გამამდიდრებელი ფაბრიკა

1. ქალაქ ტყიბულში, მდინარე ტყიბულას მარჯვენა სანაპიროზე, ყოფილი ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის ტერიტორიაზე ქვანახშირის გამამდიდრებელი საწარმოს მოწყობისათვის და ძიძიგურისა და მინდელი სახელობის შახტებში მოპოვებული რიგითი ნახშირის გრავიტაციული მეთოდით გამდიდრებისათვის.

2008 წლის 16 მაისის დასკვნა გაცემულია სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამას“ მიერ მომზადებული გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის ეკოლოგიური ექსპერტიზის საფუძველზე, დოკუმენტი ხელმისაწვდომია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მოთხოვნის საფუძველზე.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების თანახმად, საწარმო ვალდებულია:

1. საქმიანობა განახორციელოს გზშ ანგარიშით წარმოდგენილი ტექნოლოგიური რეგლამენტის შესაბამისად;
2. საქმიანობის დაწყებამდე საწარმოში გამოყენებული დინამიკური დანადგარები დააკომპლექტოს ვიბრაციის მაიზოლირებელი საშტატო ამორტიზატორებით;
3. საქმიანობის დაწყებამდე ფუჭი ქანების სანაყაროდან ხშირი წვიმებსა და ღვარცოფების დროს მდ. ტყიბულას დაბინძურების თავიდან ასაცილებლად მიწაყრილთან ერთად მოაწყოს ჯებირი; სანაყაროს პერიმეტრის გამწვანება განახორციელოს რეგიონისათვის დამახასიათებელი, არაინვაზიური სახეობებით;
4. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ფუჭი ქანების ტრანსპორტირებისათვის გამოიყენოს თანამედროვე, შედარებით დაბალი ხმაურის წარმომქმნელი ავტომობილები;
5. საქმიანობის დაწყებამდე გამამდიდრებელ საამქროში და სხვა დახურულ სამუშაო ადგილებში მოაწყოს გამწოვი ვენტილაციის სისტემები;
6. განახორცილეს გზშ ანგარიშით წარმოდგენილი გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები;
7. საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლამდე განახორციელოს სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებისათვის გამოყენებული ტერიტორიის კეთილმოწყობა. საცხოვრებელი ზონის საზღვარზე მოაწყოს ხე-მცენარეების დამცავი ზოლი;

[24] ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2020 წლის 10 დეკემბრის #03/1731 წერილი

8. საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლიდან 3 თვის განმავლობაში უზრუნველყოს გარემოსდაცვითი გეგმისა და ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება; მონიტორინგის გეგმაში გათვალისწინებული იქნას საწარმოს ექსპლუატაციისას სრული აკუსტიკური ანგარიშის ჩატარება; აღნიშნული გეგმები შეთანხმდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან;
9. უზრუნველყოს საწარმოში დასაქმებული მუშაკების წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმება.

2020 წლის ივნისში შპს „საქნახშირმა“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეათანხმა ნარჩენების მართვის გეგმა, რომელიც 2020-2022 წლებს მოიცავს.

როგორც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან ირკვევა 2020 წლის 12 მარტს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომელმა შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი, იმ საფუძვლით რომ საწარმოს არ ჰქონდა წარდგენილი 2019 წლის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის აღრიცხვის მონაცემები. საწარმო დაჯარიმდა 150 ლარით. იგივე საფუძვლითა და მიზეზით კომპანია, კვლავ 150 ლარით, დაჯარიმდა 2021 წლის 2 მარტს.

2021 წლის 19 მარტს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა 200 ლარით დააჯარიმა საქნახშირი საწარმოს ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ 2020 წლის ანგარიშის კანონით დადგენილ ვადაში წარუდგენლობის გამო.

2021 წლის 8 აპრილს გარემოსადცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა შეადგინა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი, რომლის თანახმად, შპს „საქნახშირმა“ არ შეასრულა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნა და 2021 წლის 1 იანვრამდე არ მიმართა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად. ამ დარღვევისათვის ტყიბულის მაგისტრანტი მოსამართლისაგან საწარმომ გაფრთხილება მიიღო.

2021 წლის 17 მაისს შპს „საქნახშირის“ გენერალურმა დირექტორმა მიმართა სამინისტროს და ითხოვა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება. 2021 წლის 8 ივნისს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა გამოსცა ბრძანება №2-837 „შპს „საქნახშირის“ ქვანახშირის გამამდიდრებელ საწარმოზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“.

თბოელექტროსადგური

2. ქალაქ ტყიბულში ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის მახლობლად ადგილობრივ ქვანახშირზე მომუშავე 13,2 მგვტ. სიმძლავრის თბოელექტროსადგურის (თეს) მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის. დასკვნა, ასევე, რიგი სავალდებულოდ შესასრულებელი პირობებით გაიცა.

2011 წლის 5 იანვრის დასკვნა გაცემულია სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამას“ მიერ მომზადებული გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის ეკოლოგიური ექსპერტიზის საფუძველზე, დოკუმენტი ხელმისაწვდომია დოკუმენტი ხელმისაწვდომია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მოთხოვნის საფუძველზე.

დასკვნის პირობების თანახმად, საქნახშირი ვალდებულია:

1. საპროექტო ობიექტის მშენებლობა და ექსპლუატაცია გზშ-ს ანგარიშით წარმოდგენილი სქემის შესაბამისად;
2. ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვებამდე, საწარმოს მოწყობილობის გაშვება-გამართვითი სამუშაოების შემდეგ, წნევისა და მაღალი ტემპერატურის რეჟიმში მომუშავე ტექნოლოგიური მოწყობილობის ტესტირების დოკუმენტაციის სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოში' წარდგენა.
3. გარემოსდაცვითი მონიტორინგის (თვითმონიტორინგი) წარმოება და მაკონტროლებელი ორგანოების მოთხოვნისამებრ წარდგენა;
4. მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში უახლოეს დასახლებულ პუნქტთან ხმაურის ინტენსივობის მონიტორინგი წარმოება და მაკონტროლებელი ორგანოების მოთხოვნისამებრ წარდგენა;
5. „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში" წარმოდგენილი მავნე ნივთიერებების გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროების, ასევე აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
6. ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდშ) ნორმატივების შესრულება;
7. საწარმოს პერიმეტრზე მრავალწლიანი ნარგავებით გამწვანება-განაშენიანება;
8. წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების (ზეთების ნარჩენები, ზეთებით დაბინძურებული ჩვრები, ვადაგასული და მწყობრიდან გამოსული აკუმულატორები, სატრანსპორტო საშუალებების ფილტრები და სხვა) დროებითი განთავსების შენობის მოწყობა გარემოსდაცვითი მოთხოვნების გათვალისწინებით;
9. სახიფათო ნარჩენების შემდგომი მართვის (გადამუშავება, გაუვნებელყოფა ან განთავსება) მიზნით სათანადო გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე ორგანიზაციებზე გადაცემა;
10. ნარჩენების მართვა წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;
11. წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით განსაზღვრული სავალდებულო მოთხოვნების, რეკომენდაციებისა და გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების შესრულება.

2020 წლის 12 მარტს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომელმა ამ შემთხვევაშიც დააფიქსირა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელიც, ასევე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის აღრიცხვის 2019 წლის მონაცემების წარუდგენლობაში მდგომარეობდა. საწარმოს დაეკისრა 150 ლარიანი ჯარიმის გადახდა.

ამასთან ბუნდოვანია, თბოსადგურის ფუნქციონირებისა და საკუთრების საკითხი. შპს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის 2019 წლის ფინანსური და მმართველობის ანგარიშის თანახმად:

„2019 წლის სექტემბერში კომპანიამ 16,621 ათას ლარად, დღგ-ის ჩათვლით, შპს „საქნახშირისგან“ შეისყიდა თბოელექტროსადგურის კუთვნილი ძირითადი საშუალებები. იმავდროულად, შპს „საქნახშირმა“ კომპანიისგან 5,311 ათას ლარად, დღგ-ის ჩათვლით, შეისყიდა ძირითადი საშუალებები, რომლებიც დაკავშირებული იყო ქვანახშირის გადამუშავებასთან. შესყიდული და გაყიდული ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება მიღებული იქნა კომპანიისგან დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ ჩატარებული შეფასებით. ამ ორი ტრანზაქციის შედეგად, კომპანიას წარმოეშვა ვალდებულება შპს „საქნახშირის“ მიმართ 11,310 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც გაიქვითა კომპანიის მიერ შპს „საქნახშირზე“ გაცემულ სესხებთან. აღნიშნული გაქვითვის შედეგად, კომპანიის მიერ გაცემული სესხების ნაშთმა შეადგინა 3,790 ათასი ლარი. იმის გამო, რომ კომპანიის უშუალო მშობელის შვილობილი, შპს „საქნახშირი“ საოპერაციო საქმიანობის გამო ფინანსურ სირთულეებს განიცდიდა, კომპანიამ მას აპატია მასზე გაცემული სესხის დარჩენილი ნაწილი იმის გამო, რომ შპს „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ ხელმძღვანელობამ მიიღო შპს „საქნახშირის“ გაყიდვის გადაწყვეტილება.

ამჟამად საწარმო არ ფუნქციონირებს.

პირობების შესრულების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

2018 წლის 1 იანვრიდან გარემოსდაცვითი შეფასებების კოდექსის ამოქმედებასთან ერთად გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებულია[25] სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს საქმიანობის შემდგომი ანალიზი, რომელიც მოიცავს:

ა) პირობებისა და შემარბილებელი ღონისძიებების მონიტორინგს;

ბ) საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების ანალიზს;

გ) გზშ-ის ანგარიშით გათვალისწინებული გარემოს მახასიათებლების ცვლილებების შეფასებას.

ეს ვალდებულება კოდექსის ამოქმედებიდან მეხუთე წელსაც კი არ სრულდება - არც საქნახშირის და არც ნებისმიერი სხვა საწარმოს მიმართ. პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება მხოლოდ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საფუძველზეა შესაძლებელი.

ადამიანისათვის (შრომისათვის) უსაფრთხო გარემო

მაღალი რისკის საწარმოებში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად 2017 წლის 11 მაისს გამოიცა ორი მინისტრის ერთობლივი ბრძანება „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“[26]. ბრძანებით, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან, ასევე მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ სამუშაო ადგილებზე, რომლებიც შეიცავს მომეტებულ რისკს ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობისთვის, შრომის პირობების მონიტორინგისა და ობიექტის ტექნიკური ინსპექტირების მიზნით, შეიქმნა ერთობლივი მონიტორინგის ჯგუფი, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური

[25] გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-17 მუხლი.

[26] ერთობლივი ბრძანება "საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“

დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

ბრძანების ამოქმედებიდან მალევე ცნობილი გახდა, რომ საქნახშირი ერთ-ერთი პირველი საწარმო იყო, რომელსაც ჯგუფი შეამოწმებდა[27]. ჯგუფის მონიტორინგისა და ტექნიკური ინსპექტირების **შედეგები არ გამოქვეყნებულა.**

„2018 წლის ივნისში შპს „საქნახშირმა“ შეაჩერა ნახშირის მოპოვება რამდენიმე ფატალური ინციდენტის გამო. თუმცა, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი აწარმოებს აქტიურ მოლაპარაკებებს ნახშირის მომპოვებელ უცხოურ კომპანიასთან ახალი ტექნოლოგიებით სამთო ოპერაციების აღდგენისა და რეკონსტრუქციისათვის, იმისათვის რომ შპს „საქნახშირში“ ნახშირის მოპოვება ტექნიკური და კომერციული თვალსაზრისით მიზანშეწონილი გახდეს.“ - აღნიშნულია საქნახშირის 2018 წლის ფინანსურ ანგარიშში[28]. ‘რამდენიმე ფატალური ინციდენტი’ სინამდვილეში ოთხი თვის ინტერვალით მომხდარი ორი ტრაგიკული შემთხვევა იყო: 1. 2018 წლის 5 აპრილს მინდელის მაღაროში დაიღუპა 6 და დაშავდა 3 მეშახტე და 2. 2018 წლის 16 ივლისს მინდელის მაღაროში დაიღუპა 4 და დაშავდა 6 მეშახტე. მინდელის შახტში ადამიანების დაშავებისა და დაღუპვის შემთხვევები საწარმოს მუშაობის განუყოფელ ნაწილად იქცა - 2010-2018 წლების განმავლობაში, სულ მცირე 20 ადამიანი დაშავდა და 27 დაიღუპა სამუშაო ადგილზე[29].

2018 წლის სექტემბერში ჯანდაცვის მინისტრმა გამოაცხადა[30] სამინისტროს გადაწყვეტილება ტყიბულის შახტში არსებული ვითარების შესწავლის მიზნით გერმანული კომპანია „DMT ჯგუფის“ დაქირავების თაობაზე. მინისტრის განცხადების თანახმად, მოწვეული სპეციალისტების ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტი დაფარავდა.

DMT ჯგუფის მიერ მინდელის სახელობის შახტაში შრომის უსაფრთხოების მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესწავლის ანგარიშის პრეზენტაცია ერთი წლის შემდეგ, 2019 წლის 1 ნოემბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გაიმართა. **ანგარიში არც ამ შემთხვევაში გამოქვეყნებულა.** ანგარიშის პრეზენტაციას საქნახშირის ახალი მფლობელებიც ესწრებოდნენ. „„სტილ ინტერნეიშენალ ტრეიდინგ კომპანი“-ის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გერმანულ კომპანიასთან თანამშრომლობას გააგრძელებენ, რომელიც მინდელის შახტაში მიმდინარე უსაფრთხოების სამუშაოების იმპლემენტაციას პერმანენტულად დააკვირდება და შესაბამის რეკომენდაციებს გასცემს. „ჩვენმა კომპანიამ გარკვეულწილად უკვე დიდი ნაბიჯები გადადგა ხარვეზების გამოსასწორებლად. გერმანული კომპანია იმისთვის ჩამოვიყვანეთ, რომ პროგრესის შესახებ ახალი დასკვნა მოამზადონ. ამასთანავე ქცევის წესების შედგენის კუთხით და აფეთქების მიმართულებით თურქი სპეციალისტებიც იქნა ჩამოყვანილი, რომლებიც კვირის ბოლომდე დაასრულებენ მუშაობას. გერმანელი სპეციალისტები წლის ბოლომდე მოამზადებენ

[27] ტყიბულის შახტისა და ჭიათურის მაღაროების შემოწმება დაიწყო, netgazeti.ge - 16.05.2017

[28] შპს საქნახშირი, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

[29] ოთხი მკვდარი მეშახტე. დახურული შახტები. „საქნახშირი“ სახელმწიფოს? ნინო თარხნიშვილი, რადიო თავისუფლება, ივლისი 16, 2018

[30] მინდელის შახტში შრომის პირობებს გერმანული კომპანია DMT Group შეისწავლის, პირველი არხი,07.09.2018

ახალ დოკუმენტს, რომელშიც აღწერილი იქნება გამოსასწორებელი საკითხები და გაგრძელდება მონიტორინგი სპეციალისტების მიერ. შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით თანამშრომლებსაც დავატრენინგებთ. შემდგომ ეტაპი კი ახალი ტექნოლოგიით ნახშირის მოპოვება იქნება, რომლის იმპლემენტაცია 2 წლის განმავლობაში იგეგმება“, - განაცხადა „სტილ ინტერნეიშენალ ტრეიდინგ კომპანი“-ის წარმომადგენელმა ალექსანდრე ჩოჩიამ“[31].

2019 წლის 18 ნოემბერს მწვანე ალტერნატივამ მიმართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და მოითხოვა გერმანული კომპანია „DMT ჯგუფის“ მიერ ტყიბულის შახტში არსებული ვითარების შესწავლის შედეგად მომზადებული ანგარიშის ასლი. პასუხად სააგენტომ გვაცნობა, რომ მოთხოვნილი ანგარიშის მფლობელია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რომლის დაკვეთითაც მომზადდა ანგარიში და გვირჩია მოთხოვნით სამინისტროსთვის მიგვემართა.

მწვანე ალტერნატივამ განმეორებით მიმართა სააგენტოს. წერილში აღნიშნული იყო: „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი, ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია. საჯარო ინფორმაციის მფლობელები (როგორც თქვენს წერილში აღნიშნული) არიან საქართველოს მოქალაქეები და არა რომელიმე უწყება და ის შეიძლება იყოს დაცული სხვადასხვა საჯარო უწყებაში. ამდენად თუკი ჩვენს მიერ მოთხოვნილი ანგარიში დაცულია სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში, გთხოვთ, გადმოგცეთ მისი ასლი; ხოლო თუკი ანგარიში არ ყოფილა სააგენტოსთვის ხელმისაწვდომი და შესაბამისად, არ არის დაცული, გთხოვთ, ასევე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, გადაუგზავნოთ ჩვენი განცხადება ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლის უფლებამოსილებაშიც შედის ჩვენი განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა“.

მეორედ მიმართვიდან რამდენიმე დღეში მივიღეთ სააგენტოს ეს განმარტება: „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 23 ნოემბრის N 01/19801 წერილით, მოგვაწოდა სამინისტროსა და DMT GmbH&CO. KG შორის 2018 წლის 2 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, მინდელის სახელობის შახტზე მომზადებული დასკვნის ოფიციალური ინგლისური ვერსია და არაოფიციალური თარგმანი. ამდენად, სააგენტო ფლობს მხოლოდ აღნიშნულ დოკუმენტებს და არ აქვს ინფორმაცია ოფიციალური თარგმანის შესახებ, რის გამოც, მოკლებულნი ვიყავით შესაძლებლობას, თქვენთვის მოგვეწოდებინა ამომწურავი ინფორმაცია. თქვენი სურვილისამებრ, გაწვდით ჩვენს ხელთ არსებულ, ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტებს. ხოლო, რათა მიიღოთ ამომწურავი, დაზუსტებული ინფორმაცია, თქვენს წერილს ვუგზავნით შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტს“. წერილს თან ახლდა DMT GmbH&CO. KG მიერ მინდელის სახელობის შახტზე მომზადებული დასკვნის ოფიციალური ინგლისური ვერსია და არაოფიციალური თარგმანი ქართულად.

[31] სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომა, 1 ნოემბერი 2019

საგულისხმოა, რომ 2020 წლის 10 იანვარს მწვანე ალტერნატივამ მიიღო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ **ანგარიში შეიძლება შეიცავდეს კომერციულ და პროფესიულ საიდუმლოებას, ამიტომ დოკუმენტის ჩვენთვის გადმოცემის ნებართვის მოსაპოვებლად შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა Steel international trading company-ის მიმართა**. დეპარტამენტის განმარტებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ დამატებით გვეცნობებოდა, თუმცა მას შემდეგ სამინისტროდან არც უარი და არც მოთხოვნილი დოკუმენტი არ მიგვიღია.

საწარმოში ახალი მენეჯმენტის შესვლიდან 1 წლის თავზე, 2020 წლის ბოლოს „საქნახშირის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, მიხაილ სოცკი აცხადებდა: „შრომის უსაფრთხოებას უდიდესი ყურადღება ეთმობა, ამ მიმართულებით დიდი ძალისხმევა იხარჯება. სამუშაო ადგილზე დაუშვებელია ნებისმიერი მცირე დარღვევაც კი, უსაფრთხოების ზომები ყველა თანამშრომლის მიერ 1000 %-ით უნდა იყოს დაცული და კომპანიის ხელმძღვანელობა ამას განსაკუთრებულად აკონტროლებს. თავიდანვე, გერმანელ სპეციალისტებთან ერთად შევისწავლეთ არსებული სიტუაცია, ჩვენს მოსვლამდე მომხდარი უბედური შემთხვევები, გამოვავლინეთ სუსტი ადგილები, რომლებიც გაორმაგებულ ყურადღებას ან კარდინალურ ცვლილებებს საჭიროებდა. ამ ღონისძიებების შედეგად შევცვალეთ შრომის უსაფრთხოების მაკონტროლებლების შტატი. შრომის უსაფრთხოების ტექნიკის მიმართულებით განსაკუთრებული გადამზადება გაიარეს როგორც მაკონტროლებლებმა, ისე შახტის მთელმა პერსონალმა. ინსტრუქტაჟის გავლის შემდეგ ჩააბარეს გამოცდები. ასევე, გავამკაცრეთ კონტროლი ფეთქებით სამუშაოების ჩატარებაზე... მოხდა აღჭურვილობის მოდერნიზაცია, ახალი აღჭურვილობის შემოტანა, გაკეთდა კაპიტალური რემონტი. ჩვენმა სპეციალისტებმა მოპოვების ახალი სტანდარტი შეიმუშავეს. ორმაგი ძალებით შევუდექით მოპოვების გაძლიერებას და ველოდებით დადებით შედეგებს მოპოვების რაოდენობისა და შრომის უსაფრთხოების მიმართულებით“[32].

ამ განცხადებიდან 1 თვეში, 2022 წლის 30 იანვარს ტყიბულის შახტში მორიგი საწარმოო შემთხვევა ერთი მეშახტის სიკვდილითა და რვა მეშახტის დაშავებით დასრულდა. შრომის ინსპექციის სამსახურმა პირველადი მოკვლევის შედეგად დაადგინა, რომ აფეთქების სამუშაოები მიმდინარეობდა უსაფრთხოების წესების დარღვევით და ჰაერში მეთანის კონცენტრაცია აჭარბებდა დასაშვებ ნორმას; ასევე, დარღვეული იყო ტექნიკური რეგლამენტი, რომლის მიხედვით, აფეთქების სამუშაოები ტექნიკური ხელმძღვანელის უშუალო ზედამხედველობით უნდა მიმდინარეობდეს, ხელმძღვანელი პირი კი ადგილზე არ იმყოფებოდა. ფაქტზე გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტრომაც დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით დაიწყო, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევას გულისხმობს. შემთხვევის მოკვლევის საბოლოო შედეგები ჯერჯერობით უცნობია. [33]

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძება ითქვას, რომ **სხვა კომპანიების მსგავსად, საქნახშირიც არ აწვდის საზოგადოებას ინფორმაციას: წიაღით სარგებლობის ლიცენზიისა და გამამდიდრებელი საწარმოს ნებართვის პირობებისა და ამ პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ; საწარმოს საქმიანობის შედეგად გარემოსათვის მიყენებული ზიანის, ამ ზიანის გამოსწორების და/ან შემცირებისათვის დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ; ასევე, კომპანიის საქმიანობის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული გარემოს მდგომარეობის შესახებ.** შპს „საქნახშირს“ აღარ აქვს ვებ-გვერდი.

[32] მიხაილ სოცკი: ჩვენ ყველა გამოწვევას გავუმკლავდით, gbc.ge, 29 დეკემბერი, 2020
[33] რა მოხდა ტყიბულის შახტში? იანვარი 31, 2022, თათა კაჭკაჭიშვილი, რადიო თავისუფლება

კომპანიის საქმიანობის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ტერიტორიაზე გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას საზოგადოებას არც გარემოსა და სოფლის მეურნეობის დაცვის სამინისტრო აწვდის, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების თანახმად, ეს ინფორმაცია პროაქტიულად - მოთხოვნის გარეშე ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზოგადოებისთვის.

2015 წლიდან „მწვანე ალტერნატივა“ გამოსცემს პერიოდულ ანგარიშს „გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ საქართველოში“. გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის განხილვისას ვაფასებთ ე.წ. მსხვილი დამბინძურებლების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობას და ვამზადებთ საქმიანობის მასშტაბითა და გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით ოთხი გამორჩეული საწარმოს პროფილს. ესენია: არემჯი, ჯორჯიან მანგანეზი, საქნახშირი და ჰაიდელბერგცემენტი.

ეს დოკუმენტი საქნახშირის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობას აღწერს.

THE SIGRID RAUSING TRUST

დოკუმენტი გამოცემულია ღია საზოგადოების ფონდების ქსელისა და Sigrid Rausing Trust-ის ფინანსური მხარდაჭერით.

ანგარიშის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მწვანე ალტერნატივა და ის არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს ღია საზოგადოების ფონდების ქსელისა და Sigrid Rausing Trust-ის შეხედულებებს.

ავტორი: ნინო გუჯარაიძე

© მწვანე ალტერნატივა, 2022

მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ. #39ბ, IV სართული
ტელ.: 222 38 74
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG